<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ნორიოს აღმართისთვის, მასთან არსებული ჩიხისთვის და შესახვევისთვის **საქართველოს ეროვნული გმირის მიხა ხელაშვილის** ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, ნორიოს აღმართს, მასთან არსებულ ჩიხს და შესახვევს მიენიჭოს საქართველოს ეროვნული გმირის მიხა ხელაშვილის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

44.748037,41.726080

288.28 მ²

44.817223, 41.713035

1 : 3041

მეფეთა ფალატი (მეძველი ბანკი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალური

საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ

გიორგი ტყემალაძეს

მიხა ხელაშვილის საზოგადოების

განცხადება

მოგეხსენებათ, რომ 2022 წლის 10 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა სახალხო პოეტს მიხა ხელაშვილს მიანიჭა საქართველოს ეროვნული გმირის წოდება და ეროვნული გმირის ორდენით დააჯილდოვა. მიხა ხელაშვილი იყო 1918-1925 წლებში ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმელი , პოეტი, დიაკვანი და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პატრიოტი. 25 წლის ასაკში ბოლშევიკური რეჟიმის მიერ მოღალატეობრივად მოკლული და თითქმის 70 წლის მანძილზე აკრძალული და დევნილი. მისი პოეზია და ცხოვრება გზამკვლევია ყველა ქართველისათვის და მეტადრე ახალგაზრდობისათვის.

მისი ღვაწლის დასაფასებლად, მოგმართავთ თხოვნით, ქალაქ თბილისის ერთ-ერთ თვალსაჩინო ქუჩას მიენიჭოს ეროვნული გმირის, მიხა ხელაშვილის სახელი.

მიხა ხელაშვილის საზოგადოების

დირექტორი: ეროვნული უგრელიძე

21.02.2023 წ.

მიხა ხელაშვილის საზოგადოება
Mikha Khelashvili society
404664298

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **ბ/16667122**
თარიღი: **24/05/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი 2023 წლის 22 თებერვლის საქმე #10/032305385-03 დაკავშირებით.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორიები და გამოგვიგზავნოთ სიტუაციური ნახაზები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე



მიხა ხელაშვილი

(1900-1925)

ქართველი სახალხო პოეტი, 1920-იანი წლების ანტი-საბჭოთა პარტიზანული მოძრაობის მონაწილე და „შეფიცულთა რაზმის“ წევრი.

ავტორია პოპულარული ლექსისა „ლექსო ამოგთქომ ოხერო“, რომელიც ზეპირად ვრცელდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ ხელაშვილის მშობლიურ ფშავში. 1922-1924 წლებში მონაწილეობდა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით მოწყობილ შეიარაღებულ გამოსვლებში ფშავსა და ხევსურეთში.

გავრცელებული ვერსიით საკუთარ დაბადების დღეს, 25 წლის ასაკში, მოკლეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოსყიდულმა მეგობრებმა: ლევან გარსევანიშვილმა, ლუკა მარცვალაშვილმა და ვახტანგ რაზიკაშვილმა. სხვა ვერსიით დაიღუპა დუშეთის მილიციის რაზმთან შეტაკების დროს. დაკრძალულია ჩარგლის სოფლის სასაფლაოზე.

მიხა ხელაშვილის ლექსების თემატიკა მრავალფეროვანია, ძირითადად პატრიოტული და სატრფიალო ლექსებია, თუმცა ასევე მოიცავს ელეგიური ჟანრის მელანქოლიურ ნათქვამებსაც. საბჭოთა პერიოდში ხელაშვილის ლექსები იბეჭდებოდა ხალხური პოეზიის ანთოლოგიებში ავტორის მითითების გარეშე.

2022 წლის 9 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მიხა ხელაშვილს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა.